



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის



KA060186404299816

ბრძანება No-166

ქ. თბილისი

30 / მარტი / 2016 წ.

შპს „მთის კურორტების განვითარების კამპანია“-ს კურორტ გუდაურის ხელოვნური გათვლიანებისთვის 95 600 მ³ მოცულობის წყლის რეზერვუარის (ხელოვნური წყალსაცავის მოწყობა) მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №17; 28.03.2016 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილ შპს „მთის კურორტების განვითარების კამპანია“-ს კურორტ გუდაურის ხელოვნური გათვლიანებისთვის 95 600 მ³ მოცულობის წყლის რეზერვუარის (ხელოვნური წყალსაცავის მოწყობა) მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე.
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „მთის კურორტების განვითარების კამპანია“-მ უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№17; 28.03.2016) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მთის კურორტების განვითარების კამპანია“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მთის კურორტების განვითარების კამპანია“-მს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი



გიგლა აგულაშვილი



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუასკ. ნა, ტელ: 272-72-00, 272-72-20 ფაქსი: 272-72-37

ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ 17

28 მარტი 2016 წ

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება - კურორტ გუდაურის ხელოვნური გათოვლიანებისთვის 95 600 მ³ მოცულობის წყლის რეზერვუარის (ხელოვნური წყალსაცავის მოწყობა) მშენებლობა და ექსპლუატაცია;
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი - შ.პ.ს. „მთის კურორტების განვითარების კომპანია“- ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. #12
3. საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა - დაბა გუდაურის მიმდებარე ტერიტორია
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი - 15.03.2016 წ;
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ - შპს „წარმოების ეკოლოგია“

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილია შპს „მთის კურორტების განვითარების კამპანია“-ს დუშეთის მუნიციპალიტეტში, დაბა გუდაურში, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე (ს/კN71.62.58.265) სათხილამურო ტრასის ხელოვნური გათოვლიანებისათვის 95 600 მ² ხელოვნურ ტბის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

შ.პ.ს. „მთის კურორტების განვითარების კომპანია“-ს კურორტ გუდაურის ხელოვნურ გათოვლიანებისთვის 95 600 მ². მოცულობის წყლის რეზერვუარი მოემსახურება სამთო-სათხილამურო კურორტ გუდაურის ტრასების გათოვლიანებისათვის საჭირო წყლის მარაგის შევსებას.

უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე საპროექტო წყლის რეზერვუარი დაშორებულია 1000 მეტრზე მეტი მანძილით.

წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში განხილულია დაგეგმილი საქმიანობის ორი ალტერნატიული ვარიანტი, მათ შორის: პროექტის განუხორციელებლობის (ნულოვანი) ალტერნატივა, ობიექტის განთავსების ალტერნატიული ვარიანტები.

პროექტის არაქმედების ალტერნატივა უგულვებელყოფილი იქნა, რადგან რაციონალური საპროექტო გადაწყვეტილებების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით წყალსაცავის მშენებლობა და ოპერირება გაცილებით მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს მომტანია, ვიდრე პროექტის განუხორციელებლობა.

გზშ-ს ანგარიშის მიხედვით წინასაპროექტო ეტაპზე განიხილებოდა წყალსაცავის მოწყობის ტერიტორიის ალტერნატივები. ვიზუალური და წყალსაცავისათვის საჭირო პარამეტრების აუდიტის შედეგების მიხედვით წყალსაცავის მშენებლობისათვის შესაფერის ადგილად ჩაითვალა დაბა გუდაურის მიმდებარე ტერიტორია, მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 71.62.58.265, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. აღნიშნულ ტერიტორიაზე ტბის მოწყობისას მის შევსებისათვის არსებობს ჰიდროლოგიური რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს გათოვლიანობისათვის საჭირო წყლის მარაგის შევსებას.

საპროექტო ტერიტორიაზე წყალსაცავის მშენებლობა რაიმე ალტერნატიული გზების მშენებლობას არ მოითხოვს. გამოყენებული იქნება არსებული გრუნტის გზა. რაც შეეხება წყალსაცავის მოწყობის ტექნოლოგიურ ალტერნატივებს, ის განხილული იყო ორ ვარიანტად: წყალსაცავი მემბრანის გარეშე; წყალსაცავი მემბრანით. შერჩეული იქნა მეორე ვარიანტი, რადგან შერჩეული ტექნოლოგიები სრულიად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს დაბა გუდაურის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მთის თხემურ ნაწილში და ფართობით 7.2124 ჰა. ტერიტორიის ზედაპირის ნიშნულები იცვლება 2669 მ-დან 2725 მ-მდე ფარგლებში, იგი 7-100-მდე დახრილობის სამხრეთ-დასავლეთი მიართულების ქანობით ხასიათდება, ხოლო ზედაპირი დაფარულია 0.25 -0.3 მ-ის სისქის ნიადაგის ფენით.

გეოლოგიურად ტერიტორია ძირითადად აგებულია ზედა იურული და ცარცული ნალექებით და წარმოდგენილი არიან ტიტონური სართულის ფიქლებრივი მერგელების შუაშრებიანი კირქვებით, ბარემული და ჰოტერიული სართულების მერგელებით, მერგელოვანი ფიქლებით, თიხაფიქლებით, იშვიათად ქვიშოვანი კირქვებით; ზედაპირი ნაწილობრივ დაფარულია მეოთხეული ანდეზიტ-ბაზალტების ლავებით და მეოთხეული საფარით.

ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია შედის კავკასიონის სამხრეთი ფერდის წყალდამწვევი სისტემების ოლქის, მესტია-თიანეთის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყალდამწვევი სისტემის რაიონის ფარგლებში.

საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონების რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია განთავსებულია კავკასიონის სამხრეთი ფერდის მაღალმთიანეთის ნაოჭა სისტემის ოლქის, მეოთხეული ლავური განფენების, კლდოვანი ქანების გავრცელების რაიონის ფარგლებში.

გეოდინამიკური პროცესები საკვლევ ტერიტორიაზე არ აღინიშნება და არც ფონდურ მასალებშია ფიქსირებული.

გრუნტის წყლები სამუშაოთა წარმოების პროცესში ფიქსირებული არ ყოფილა, ხოლო საქართველოს სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით საკვლევი ტერიტორია შედის სეისმური საშიშროების 8 ბალიანი ზონის ფარგლებში.

საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს ალპურ ზონას, სადაც ფლორის რაიმე სახეობები არ არსებობს, გარდა ბალახოვანი მცენარეებისა. ასევე საკვლევ ტერიტორიაზე არ ფიქსირდება

ფაუნის რაიმე წარმომადგენლები, რადგან მათვის ბუდობისათვის ხელსაყრელი პირობები არ არსებობს.

საკვლევ ტერიტორიის დათვალარების დროს არ დაფიქსირებულა კანონით დაცული არც ერთი სახეობის არსებობის დამადასტურებელი ნიშანი.

ხელოვნური ტბის მშენებლობისათვის შერჩეული ტერიტორია ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიას არ ესაზღვრება. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე და ზოგადად რეგიონში მსგავსი პროექტი დღეისათვის არ ხორციელდება, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

პროექტის გავლენის ზონაში მოქცეულ ტერიტორიებზე ისტორიულ-კულტურულ ან არქეოლოგიური ძეგლების არსებობა არ დასტურდება, შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ზემოქმედების რისკი მინიმალურია.

მიწის სამუშაოების შესრულების დროს შესაძლებელია ადგილი ქონდეს არქეოლოგიური ძეგლების გვიანი გამოვლენის ფაქტებს. ასეთ შემთხვევაში მოწვეული იქნება საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანოს სპეციალისტები, არქეოლოგიური ძეგლის მნიშვნელობის დადგენისა და სამუშაოების გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის.

წყალსაცავის შედარებით მცირე სარკის ზედაპირის ფართობის და უახლოეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცილების მანძილების გათვალისწინებით ნეგატიური ზემოქმედების რისკები არ არის მაღალი.

გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილია გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკები, ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებ. შემარბილებელი ღონისძიებები და სხვა.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად ექსპერტების მიერ გამოთქმულ შენიშვნები საფუძვლად უდევს წინამდებარე დასკვნის III თავს.

III. პირობები

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

1. წყლის რეზერვუარის მოწყობისა და ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმის, შესაძლო ავარიული სიტუაციების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესრულება.
2. ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს წყალსაცავში წყლის დგომის სიმაღლის სტაბილურობის კონტროლი.
3. მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს გრუნტის ფილტრაციის საკითხისა და სადრენაჟო სისტემის ჰიდრავლიკური პარამეტრების შესახებ ინფორმაციის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოდგენა.
4. ექსპლუატაციაში გაშვებამდე უზრუნველყოს რისკების გაანგარიშება და მართვის გეგმის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება მიწისძვრის შემთხვევაში ჰიდროიზილიაციის მწყობრიდან შესაძლო გამოსვლის შემთხვევა.
5. დეტალური პროექტირების ეტაპზე უზრუნველყოს ნაგებობის მდგრადობა დაზუსტებული იქნება მონაცემები გრუნტის ჩაყინვის სიღრმის შესახებ.
6. სამშენებლო სამუშაოების დაწყების, დასრულებისა და ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.
7. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში დასკვნის გადაცემა განახორციელოს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

IV. დასკვნა


ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილი, შპს „მთის კურორტების განვითარების კამპანი“-ის დუშეთის მუნიციპალიტეტში, დაბა გუდაურში, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე (ს/კN71.62.58.265) სათხილამურო ტრასის ხელოვნური გათოვლიანებისათვის 95 600 მ² ხელოვნურ ტბის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების

დეპარტამენტის უფროსი

თამარ შარაშიძე

(სახელი, გვარი)



(ხელმოწერა)

